



საქართველოს მთავრობის განკარგულება

№480 2013 წლის 22 მაისი ქ.თბილისი
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან
თანხის გამოყოფის შესახებ

1. მიმდინარე წლის ივნისში საქართველოში დაგეგმილი ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს (NAC)-ის ვიზიტთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ იქნეს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარი.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებებისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, ვიზიტის მომზადებაში მონაწილე მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარდგენილი წინადადებების საფუძველზე უზრუნველყოს შესაბამისი თანხების გამოყოფა.



პრემიერ-მინისტრი

ზიბინა ივანიშვილი